

სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება
გარემოსდაცვითი ზემოქმედების დეპარტამენტი
გარემოსთვის მიყენებული ზიანის ბანსაზღვრა (ბამ(ო)ანბარიშემა)



DES 3 22 00001440



11/01/2022

შპს „ტექნოლოჯი 2021“ - ს (ს/კ 405470869) მიერ მარგანეცის ნედლი მადნის უკანონოდ მოპოვებით გარემოსათვის მიყენებული ზიანის გაანგარიშება.

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის დასავლეთის რეგიონულ სამმართველოში, საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი წიაღის ეროვნული სააგენტოდან შემოსული N 22/7954; 22.11.2021 წ. (შიდა № DES 4 21 00067387; 22/11/2021) წერილის საფუძველზე, მიმდინარე წლის 29 ნოემბერს განვახორციელეთ, ამავე წერილით წარმოდგენილი მასალებში მითითებული ნედლი მადნის მოპოვების ადგილის შესწავლა/ დათალიერება. ტერიტორია მდებარეობს ონის მუნიციპალიტეტში, სოფელ შქმერის მიმდებარედ. სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2021 წლის 09 ივლისის N 898/ს ბრძანებით შპს „ტექნოლოჯი 2021“ (ს/კ 405470869) -ზე გაცემულია, სასარგებლო წიაღისეული(მაგანუმის) მოპოვების N 10002204 ლიცენზია((ონის მუნიციპალიტეტის სოფელ შქმერის მიმდებარე ტერიტორიაზე შქმერის მანგანუმის (უბანი ჭარნათი) შესწავლა-მოპოვება; მიწისა და სამთო მინაკუთვნის ფართობი - 229 120 კვ.მ. ლიცენზიის მოქმედების ვადა 10 წელი, 09.07.2021 წ. დან 10.07.2031 წლამდე.)) მოსაპოვებელი რესურსის რაოდენობა არ არის განსაზღვრული.

დათვალიერებისას იდენტიფიცირდა დასაწყობებული მანგანუმის შემცველი მადნები (ქვიშის ყოფილ კარიერში) დასაწყობების ადგილი. 2021 წლის 29 ნოემბერს შედგენილი აქტის მონაცემებით უფლებამოსილი პირის მიერ შედგენილი (№ DES 5 21 00070528; 06/12/2021) კარტოგრაფიული რუკიდან ირკვევა, რომ მარგანეცის ნედლი მადანი მოპოვებულია 7234,5 კვ.მ. ფართობზე (ტერიტორიაზე ჩატარებულია ტექნიკური რეკულტივაცია) და მოპოვებული მარგანეცის ნედლი მადანი ნაწილი გატანილი აქვს და ნაწილი დასაწყობებული არის 99,0 კვ.მ. ფართობზე. მადნის დაყრის საშუალო სიმაღლე - 2,0 მეტრი. მარგანეცის ნედლი მადნის გროვიდან ჩვენს მიერ აღებული იქნა 3(სამი) იდენტური მახასიათებელი სინჯი, დაილუქა თვითოეული სინჯი. ერთი სინჯი ლუქის ნომრით: 1. CB00056655; მარგანეცის პროცენტული რაოდენობის დასადგენად გაგზავნილი იქნა ლევან სამხარაულის სახელობის სამმართველო ექსპერტიზის ბიუროში. აღნიშნული ბიუროს 2021 წლის 30 დეკემბრის № DES 5 21 00077582; წერილით წარმოდგენილი № 1008907221 დასკვნის თანახმად გამოსაკვლევად წარმოდგენილი სპეცპაკეტში (ლუქით № CB00056655;) მოთავსებულ ნიმუშში საერთო მანგანუმის (Mn) მასური წილი შეადგინს - 23.37 % - ს. შპს „ტექნოლოჯი 2021“ - ს (ს/კ 405470869) დირექტორის

ტელეფონი

ახსნა განმარტებით ადგილზე

დასაწყობებული აქვს, 230 - 250 ტონა მანგანუმის ნედლი მადანი, ხოლო ამდენივე გატანილი აქვს ათბილითან დასამოთხრობლათ. ათბილითი დასაწყობებული მანგანუმის ნილი მადნის

2)198 კუბ. მ. მანგანუმის ნერლი მადანი, ხოლო წონა - შქმერის სამიეზო დაზვერვითი პარტიის 1956 – 1961 წლების N 11064; ანგარიშის მონაცემებზე დაყრდნობით, მანგანუმის ნედლი მადნის მოცულობითი წონა შეადგენს 1,5 ტონა/კუბ.მ. შესაბამისად ადგილზე დასაწყობებული ნედლი მადნის წონა იქნება (198 x 1,5)297 ტონა.

შემოსავლების სამსახურის მომსახურების დეპარტამენტის 01/12/2021 წლის № 21-11/142251(№ DES 1 21 00069841 01/12/2021;) წერილში მოცემული ინფორმაციის თანახმად შპს „ტექნოლოჯი 2021“ - ს (ს/კ 405470869) ონის მუნიციპალიტეტის სოფ. შქმერიდან ჭიათურა საჩხერის გზატკეცილის მიმართულებით განხორციელებული აქვს 16 - ჯერ(თექვსმეტი) გადაზიდვა და გადატანილი აქვს 243.1 ტონა მანგანუმის ნედლი მადანი. აქედან გამომდინარე შპს „ტექნოლოჯი 2021“ - ს (ს/კ 405470869) შქმერის ტერიტორიაზე მოპოვებული აქვს: (243.1 + 297)540.1 ტონა მანგანუმის ნედლი მადანი. კომპანიამ მარგანეცის ნედლი მადნის ასეთი რაოდენობით მოპოვების ვერავითარ უფლება ვერ წარმოადგინა. კომპანიის დირექტორი თავის წერილობით ახსნა განმარტებაში წერს, რომ მას აქვს ლიცენზია საბადოს შესწავლა მოპოვების და გაყვანილი აქვს 8 (რვა)შურფი, თუმცა ამ გამონამუშევრებიდან 540,1 ტონა მანგანუმის ნედლი მადნის მოპოვება შეუძლებელია. კომპანიის სარგებლობაში არსებული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების N 10002204; ლიცენზიაში არსად მითითებული არ არის მოსაპოვებელი რესურსის მოცულობა. შესაბამისად შპს „ტექნოლოჯი 2021“ - ს (ს/კ 405470869) უკანონოდ შესაბამისი ლიცენზიის გარეშე მოპოვებული და გატანილი აქვს 540,1 ტონა მარგანეცის ნედლი მადანი.

წიაღის უკანონო მოპოვებით გარემოსათვის მიყენებული სრული ზიანი, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის N 54 დადგენილებით დამტკიცებული „გარემოსათვის მიყენებული ზიანის გამოანგარიშების (განსაზღვრის) მეთოდის“- ის მე - 9 მუხლის, მე 7 - ე პუნქტის მიხედვით იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$P = Q \times K \times C + M$$

ა) სადაც:

ა.ა) Q – არის უკანონოდ მოპოვებული კონკრეტული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების მოცულობა შესაბამის ზომის ერთეულებში, მოცემულ შემთხვევაში = 540.1 ტ. 23,37 %-იანი მარგანეცის მადანი.

ა.ბ) K – არის წიაღისეულის სარგებლობის მოსაკრებელი.

„ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად 1 ტონა - 1 %-იანი მანგანუმის შემცველობის მადნისათვის მოსაკრებლის რაოდენობა შეადგენს - 0,18 ლარს. შესაბამისად: 1 ტონა 23,37 %-იანი მანგანუმის შემცველობის მადნისათვის მოსაკრებლის რაოდენობა იქნება $23,37 \times 0,18 = 4,21$ ლარი.

ა.გ) C – მიყენებული ზიანის შედეგად კონკრეტული სასარგებლო წიაღისეულის სარგებლობისათვის დადგენილი მოსაკრებლის მაკორექტირებელი კოეფიციენტი $C = 5$;

ა.დ) M – არის კონკრეტული წიაღისეულის სალიცენზიო მოსაკრებელი ლარებში „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად = 200.

ამრიგად:

$$P = 540.1 \times 4,21 \times 5 + 200 = 11\ 569,11 \text{ ლარი.}$$

შპს „ტექნოლოჯი 2021“ - ს (ს/კ 405470869) მიერ, 540,1 ტონა 23,37 %-იანი მანგანუმის მადნის უკანონო მოპოვების შედეგად გარემოსათვის მიყენებული ზიანი შეადგენს - 11 569.11 (თერთმეტი ათას ხუთას სამოცდაცხრა ლარი 11 თეთრი) ლარს.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო /
გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი /
დასავლეთის რეგიონული სამმართველო / გარემოსდაცვითი
ინსპექტირების განყოფილება
მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - ინსპექტორი